პროექტის NoGAP მოკლე ანგარიში

2013 – 2017 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მონაწილეობდა ევროკომისიის 7-ე ჩარჩო-პროგრამის FP7-INCO-2013-9 პროექტში NoGAP - „ცოდნის ტრანსფერის საზოგადოება კვლევას, ინოვაციასა და ბიზნესს შორის კავშირების დასამყარებლად“ (Knowledge Transfer Community to bridge the gap between research, innovation and business creation, გრანტი # 609531).

NoGAP კონსორციუმი მოიცავდა 13 ორგანიზაციას 6 ქვეყნიდან, რომელთაგან 3 იყო ევროკავშირის ქვეყანა (გერმანია, რუმინეთი და სლოვაკეთი), დანარჩენი კი აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნები (უკრაინა, ბელორუსი და საქართველო). პროექტის კოორდინატორი იყო გერმანული ორგანიზაცია „Steinbeis Innovation gGmbH, SIG.

პროექტის მიზანი იყო კავშირების შექმნა და გამყარება კვლევას, ინოვაციასა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და „ცოდნის და ინოვაციის ერთიანი სივრცის“ შექმნა „უსაფრთხო, სუფთა და ეფექტური ენერგიის“ წარმოების სოციალური გამოწვევების ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა რამდენჯერმე უმასპინძლა ტერნინგებს მკვლევართათვის , მომავალი ტრენერებისთვის და წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა, ასევე მოწვეულმა სტუმრებმა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. პროექტი მოიცავდა დამეგობრების (Twinning) პროგრამას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ნიტრას აგრარულ უნივერსიტეტს (სლოვაკეთი) შორის. პირველი ვიზიტი შედგა სლოვაკეთში. ქართველ მეცნიერთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა ადგილზე გაცნობოდა სლოვაკი კოლეგების მიღწევებს განახლებადი ენერგიების დარგში, გაცნობოდა მათ გამოცდილებას კავშირების შექმნაზე კვლევას, ინოვაციასა და ბიზნესს შორის. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საპასუხო ვიზიტის დროს, რომელსაც სტუმართა მხრიდან ხელმძღვანელობდა ნიტრას აგრარულ უნივერსიტეტის რექტორი, გაფორმდა მემორანდუმი ორ უნივერსიტეტს შორის.

პროექტის ფარგლებში ქართველ მეცნიერებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა ფრანკფურტის საბროკერო ღონისძიებაში (Brockerage Event) და კლუჟის (რუმინეთი) საერთაშორისო კონფერენციაში (ჩატარდა პროექტის საბოლოო შეხვედრის პარალელურად), სადაც წარადგინეს საკუთარი წინადადებები და დაამყარეს კავშირები ევროპელ კოლეგებთან მომავალი თანამშრომლობის მიზნით.

პროექტის ვებგვერდი - http://www.no-gap.eu/